

ამოცანები

B

1. (0,8 ქულა) რა მანძილს გაივლის ნინო 40 წუთში, თუ ის 15 წუთში 1023 მეტრს გადის?

- ა) 2558მ ბ) 2827მ გ) 2728მ დ) 2828მ ე) 3008მ

2. (0,8 ქულა) ახლა გიორგის 3-ჯერ მეტი წიგნი აქვს, ვიდრე რეზოს, ხოლო თუ გიორგი რეზოს 2 წიგნს აჩუქებს, მაშინ მას 2-ჯერ მეტი წიგნი გაუხდება რეზოსთან შედარებით. რამდენი წიგნი აქვთ ორივეს ერთად?

- ა) 40 ბ) 24 გ) 36 დ) 12 ე) 48

3. (0,8 ქულა) რომელ საათზე დაირეკება მეოთხე გაკვეთილის დასრულების ზარი, თუ გაკვეთილები 9-ის ნახევარზე იწყება, თითოეული გაკვეთილი 40 წუთი გრძელდება, ხოლო შესვენება გაკვეთილებს შორის 5 წუთიანია.

- ა) 12-ის ნახევარზე ბ) 13 საათზე გ) 12 საათზე დ) 12-ის 25წთ-ზე
ე) 11-ის 15წთ-ზე

4. (0,8 ქულა) რამდენი სამნიშნა რიცხვი არსებობს, რომელთა ციფრების ჯამია 6?

- ა) 10 ბ) 14 გ) 21 დ) 15 ე) 2


5. (0,8 ქულა) გამოიანგარიშეთ: $\frac{1}{2} + \frac{1}{3} + \frac{1}{5} - \frac{1}{30}$

- ა) 1 ბ) $\frac{7}{6}$ გ) $\frac{29}{30}$ დ) $\frac{31}{30}$ ე) $\frac{5}{6}$

B

6. (0,9 ქულა)

სულ რამდენ სამკუთხედს ხედავთ ნახაზზე?



- ა) 7 ბ) 5 გ) 4 დ) 6 ე) 8

7. (0,9 ქულა) ამოხსენით განტოლება $((5 \cdot (3x - 7) + 11):4 + 1) \cdot 2 = 5x$

- ა) $x=3$ ბ) $x=0$ გ) $x=8$ დ) $x=12$ ე) $x=4$

8. (0,9 ქულა) ცნობილია, რომ x და y ნატურალური რიცხვებია, $x < y$ და $\frac{1}{x} + \frac{1}{y} = \frac{1}{6}$. რამდენი ასეთი $(x ; y)$ წყვილი არსებობს?

- ა) 5 ბ) 4 გ) 9 დ) 2 ე) 1

9. (0,9 ქულა) a ისეთი ნატურალური რიცხვია, რომ $7a$ ნაშთს 8-ზე გაყოფისას გვაძლევს 3-ს. რა ნაშთს მოგვცემს 8-ზე გაყოფისას $3a$?

- ა) 5-ს ბ) 1-ს გ) 7-ს დ) გაიყოფა უნაშთოდ ე) ისევ 3-ს

10. (0,9 ქულა) ეკამ წიგნის $\frac{1}{3}$ წაიკითხა და შენიშნა, რომ თუ კიდევ 20 გვერდს წაიკითხავდა, წასაკითხი დარჩებოდა წიგნის $\frac{3}{5}$ ნაწილი. რამდენ გვერდიანია წიგნი?

- ა) 600 ბ) 450 გ) 360 დ) 300 ე) 240

B

11. (1 ქულა) ახლა მამის ასაკი მისი სამი შვილის ასაკთა ჯამის ტოლია, ხოლო 16 წლის შემდეგ სამივე შვილის ასაკთა ჯამი მამის ასაკს 1,5-ჯერ გადააჭარბებს. რამდენი წლის შემდეგ გადაიხდის მამა 50 წლის იუბილეს?

- ა) 2 წლის შემდეგ ბ) 8 წლის შემდეგ გ) 5 წლის შემდეგ
დ) 4 წლის შემდეგ ე) უკვე გადახდილი აქვს

12. (1 ქულა) დაასახელეთ უდიდესი სამნიშნა რიცხვი, რომელიც სამი განსხვავებული მარტივი რიცხვის ნამრავლის ტოლია.

- ა) 979 ბ) 994 გ) 999 დ) 981 ე) 995

13. (1 ქულა) კვადრატის ერთი გვერდი გაზარდეს 3სმ-ით, ხოლო მეორე გვერდი შეამცირეს 2სმ-ით. შედეგად მიიღეს მართკუთხედი, რომლის ფართობი თავდაპირველი კვადრატის ფართობის ტოლია. რას უდრის მიღებული მართკუთხედის პერიმეტრი?

- ა) 24სმ ბ) 30სმ გ) 28სმ დ) 26სმ ე) 20სმ

14. (1 ქულა) ისრებიან საათს მხოლოდ 2 ისარი აქვს, საათების და წუთების. იპოვეთ კუთხე მათ შორის, როცა 5-ს აკლია 24 წუთი.

- ა) 72° ბ) 78° გ) 75° დ) 80° ე) 84°

15. (1 ქულა) პირველი ონკანი ცარიელ ავზს 8 საათში ავსებს, ხოლო მეორე ონკანი სავსე ავზს 5 საათში ცლის. რა დროში დაიცლება ნახევრად სავსე ავზი, თუ ორივე ონკანს ერთდროულად გავხსნით?

- ა) 7სთ-ში ბ) 6სთ -ში გ) 6სთ 40წთ-ში დ) 6სთ 30წთ-ში
ე) 6სთ 20წთ-ში

B

16. (1,1 ქულა) a, b და c ციფრებია. შეკრიბეს $\overline{abc} + \overline{cab} + 3$ და მიიღეს 11-ის ჯერადი რიცხვი. იპოვეთ c ციფრის მნიშვნელობა.

- ა) $c = 5$ ბ) $c = 7$ გ) $c = 4$ დ) $c = 6$ ე) $c = 3$

17. (1,1 ქულა) რამდენი უკვეცი $\frac{a}{b}$ სახის წილადი რიცხვი არსებობს, თუ ცნობილია, რომ $\frac{1}{3} < \frac{a}{b} < \frac{3}{4}$, ამასთან $a + b = 120$.

- ა) 6 ბ) 7 გ) 5 დ) 8 ე) 12

18. (1,1 ქულა) დათომ ათი ციფრიდან თითოეული მხოლოდ ერთხელ გამოიყენა და შეადგინა 2 ხუთნიშნა რიცხვი. შემდეგ ამ ხუთნიშნა რიცხვებიდან დიდს გამოაკლო მცირე. რა უმცირესი რიცხვი შეიძლება მიეღო დათოს?

- ა) 1364 ბ) 247 გ) 249 დ) 123 ე) 2496

19. (1,1 ქულა) ორ პარალელურ წრფეზე 7 წერტილი მონიშნეს, პირველზე 4, ხოლო მეორეზე - 3. სულ რამდენი სამკუთხედის აგება შეიძლება წვეროებით ამ წერტილებში? (იხ. ნახაზი)



- ა) 24 ბ) 33 გ) 27 დ) 28 ე) 30



20. (1,1 ქულა) ყუთში წითელი და ლურჯი ფანქრებია. თუ ყოველ 2 წითელ ფანქარს დავაჯაფებთ 1 ლურჯ ფანქართან, მაშინ 2 ლურჯი ფანქარი მოგვრჩება, ხოლო თუ ყოველ 3 წითელ ფანქარს დავაჯაფებთ 2 ლურჯ ფანქართან მაშინ 3 წითელი ფანქარი მოგვრჩება. რამდენი ფანქარია სულ ყუთში?

- ა) 68 ბ) 23 გ) 53 დ) 38 ე) 32

B

21. (1,2 ქულა) კლასის მოსწავლეთა $\frac{1}{15}$ -ს მათემატიკაში საშუალოდ 18 ნიშანი აქვს მიღებული 1 წლის განძავლობაში, $\frac{1}{5}$ -ს საშუალოდ - 17 ნიშანი, $\frac{1}{3}$ -ს საშუალოდ - 12 ნიშანი, ხოლო დანარჩენ 12 მოსწავლეს საშუალოდ - 11 ნიშანი. საშუალოდ რამდენი ნიშანი უწერია მათემატიკაში ამ კლასის მოსწავლეებს?

- ა) 14 ბ) 13 გ) 15 დ) 12 ე) 14,5

22. (1,2 ქულა) 15 ქათამი 7 დღეში დებს 80 კვერცხს. რამდენ კვერცხს დადებს 14 ქათამი 9 დღეში?

- ა) 90-ს ბ) 96-ს გ) 84-ს დ) 87-ს ე) 102-ს

23. (1,2 ქულა) ორნიშნა რიცხვის ციფრებს შორის ჩაწერეს მისი შემადგენელი ციფრების ჯამი. შედეგად მიიღეს სამნიშნა რიცხვი, რომელიც 11-ჯერ აღემატება თავდაპირველ ორნიშნა რიცხვს. რამდენი ასეთი ორნიშნა რიცხვი არსებობს?

- ა) 36 ბ) 90 გ) 89 დ) 60 ე) 45

24. (1,2 ქულა) მატარებელმა, რომლის სიგრძე 120 მეტრია ℓ სიგრძის ხიდი ნახევარ წუთში გაიარა, ხოლო 2ℓ სიგრძის ხიდი კი 50 წამში. რამდენ მეტრს გადის მატარებელი 1 წამში?

- ა) 200 ბ) 180 გ) 150 დ) 100 ე) 120

25. (1,2 ქულა) წილადი $\frac{3}{7}$ ჩაწერეს პერიოდული ათწილადის სახით, რა ციფრი წერია მძიმის შემდეგ 2022-ე პოზიციაზე?

- ა) 1 ბ) 7 გ) 4 დ) 8 ე) 2

პასუხების ფურცელი

სწორ პასუხი უჯრაში აღინიშნება ასე

შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად

შტრიხ-კოდის აღვილი

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა	<input type="checkbox"/>														
ბ	<input type="checkbox"/>														
გ	<input type="checkbox"/>														
ვ	<input type="checkbox"/>														
თ	<input type="checkbox"/>														
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25					
ა	<input type="checkbox"/>														
ბ	<input type="checkbox"/>														
გ	<input type="checkbox"/>														
ვ	<input type="checkbox"/>														
თ	<input type="checkbox"/>														

პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია:

1. მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი (დავალების ნომერი უნდა ემთხვეოდეს იმ სვეტის ნომერს რომელშიც უნდა მონიშნოთ სწორი პასუხი);
2. ნომრის ქვეშ, იპოვეთ უჯრა რომელიც თქვენს პასუხს შეესაბამება და დასვით შესაბამისი აღნიშვნა (სწორი პასუხი აღინიშნება ასე **☒**);
3. თითოეული დავალების სვეტში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი (**☒**). თუ დავალების სვეტში ერთზე მეტ **☒** ნიშანს დასვამთ, არცერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად;
4. თუ გსურთ როელიმე პასუხის გადასწორება, მაშინ მთლიანად გააფერადეთ უჯრა მუქად და მონიშნეთ ახალი სწორი პასუხი. გაითვალისწინეთ შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც უკვე გადასწორეთ (გაამუქეთ).
5. პასუხების მონიშვნისათვის არ გამოიყოფა ცალკე დრო, ამიტომ დროულად და ყურადღებით შეიტანეთ საჭირო აღნიშვნები თქვენს ფურცელზე.
6. გამოცდის დასრულებისას, კურატორთან ერთად დაითვლება გადასწორებული უჯრების რაოდენობა და ჩაიწერება უწყისში (სპეციალურად გამოყოფილ უჯრაში).